

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №20

2016 წლის 7 მარტი

ქ. ბოლნისი

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 21 დეკემბრის №58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, „ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 21 დეკემბრის №58 დადგენილებაში (www. matsne.gov.ge), 25/ 12/ 2014, 190020020.35.158.016266) შევიდეს ცვლილება:

მუხლი 1

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 21 დეკემბრის თავი I და თავი II ჩამოყალიბდეს დანართი 1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს 2016 წლის 7 მარტიდან.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

თამაზ ჟორჟოლიანი

დანართი 1

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

თავი I

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	12,373.5	20,087.9	3,106.3	16,981.6	20,929.8	3,926.4	17,003.4
გადასახადები	1,680.7	2,025.2	0.0	2,025.2	2,840.0	0.0	2,840.0
გრანტები	1,997.1	3,118.7	3,106.3	12.4	3,994.8	3,926.4	68.4
სხვა შემოსავლები	8,695.7	14,944.0	0.0	14,944.0	14,095.0	0.0	14,095.0
ხარჯები	11,431.9	13,552.9	355.1	13,197.8	15,930.6	315.0	15,615.6
შრომის ანაზღაურება	2,078.5	2,115.4	116.4	1,999.0	2,919.0	132.0	2,787.0



საქონელი და მომსახურება	2,600.4	2,272.3	27.9	2,244.4	2,055.8	10.0	2,045.8
პროცენტი	200.0	173.1	0.0	173.1	142.7	0.0	142.7
სუბსიდიები	4,966.3	6,989.8	169.9	6,819.9	7,665.1	170.0	7,495.1
გრანტები	0.0	370.0	0.0	370.0	1,075.0	0.0	1,075.0
სოციალური უზრუნველყოფა	1,504.1	1,147.5	4.4	1,143.1	1,414.7	3.0	1,411.7
სხვა ხარჯები	82.5	484.9	36.5	448.3	658.3	0.0	658.3
საოპერაციო სალდო	941.6	6,535.1	2,751.3	3,783.8	4,999.2	3,611.4	1,387.8
არაფინანსური აქტივების ცვლილება	1,262.7	4,985.5	2,702.6	2,282.8	6,558.1	3,724.2	2,833.9
ზრდა	1,266.5	5,171.2	2,702.6	2,468.5	6,593.1	3,724.2	2,868.9
კლება	3.8	185.7	0.0	185.7	35.0	0.0	35.0
მთლიანი სალდო	-321.0	1,549.6	48.6	1,501.0	-1,558.9	-112.7	-1,446.1
ფინანსური აქტივების ცვლილება	-533.4	1,309.8	48.6	1,261.1	-1,831.0	-112.7	-1,718.3
ზრდა	64.7	1,831.1	112.7	1,718.3	0.0	0.0	0.0
კლება	598.1	521.3	64.1	457.2	1,831.1	112.8	1,718.3
ვალდებულებების ცვლილება	-212.4	-239.8	0.0	-239.8	-272.2	0.0	-272.2
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	212.4	239.8	0.0	239.8	272.2	0.0	272.2
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	212.4	239.8	0.0	239.8	272.2	0.0	272.2
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები



შემოსულობები	12,377.3	20,794.9	3,170.4	17,624.5	22,795.9	4,039.2	18,756.7
შემოსავლები	12,373.5	20,087.9	3,106.3	16,981.6	20,929.8	3,926.4	17,003.4
არაფინანსური აქტივების კლება	3.8	185.7	0.0	185.7	35.0	0.0	35.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.0	521.3	64.1	457.2	1,831.1	112.8	1,718.3
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	12,910.7	18,963.9	3,057.7	15,906.2	22,795.9	4,039.2	18,756.7
ხარჯები	11,431.9	13,552.9	355.1	13,197.8	15,930.6	315.0	15,615.6
არაფინანსური აქტივების ზრდა	1,266.5	5,171.2	2,702.6	2,468.5	6,593.1	3,724.2	2,868.9
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	212.4	239.8	0.0	239.8	272.2	0.0	272.2
ნაშთის ცვლილება	533.4	-1,831.1	-112.7	-1,718.3	0.0	0.0	0.0

მუხლი 3. ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 20,929,8 ათ. ლარის ოდენობით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	12,373.5	20,087.9	3,106.3	16,981.6	20,929.8	3,926.4	17,003.4
გადასახადები	1,680.7	2,025.2	0.0	2,025.2	2,840.0	0.0	2,840.0
გრანტები	1,997.1	3,118.7	3,106.3	12.4	3,994.8	3,926.4	68.4
სხვა შემოსავლები	8,695.7	14,944.0	0.0	14,944.0	14,095.0	0.0	14,095.0

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი		2016 წლის გეგმა	
		სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის
			სახელმწიფო		სახელმწიფო



			ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	1,680.7	2,025.2	0.0	2,025.2	2,840.0	0.0	2,840.0
გადასახადები ქონებაზე	1,679.7	2,023.8	0.0	2,023.8	1,440.0	0.0	1,440.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე(გარდა მიწისა)	594.3	993.2	0.0	993.2	765.0	0.0	765.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე(გარდა მიწისა)	2.6	2.6	0.0	2.6	0.0	0.0	0.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე(გარდა მიწისა)გადასახადი	24.1	39.4	0.0	39.4	20.0	0.0	20.0
ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ ქონებაზე გადასახადი	18.7	30.2	0.0	30.2	20.0	0.0	20.0
არაეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე გადასახადი	5.4	9.1	0.0	9.1	0.0	0.0	0.0
საქართველოში რეგისტრირებულ მსუბუქ ავტომობილებზე	0.0	0.1	0.0	0.1	0.0	0.0	0.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	902.4	894.7	0.0	894.7	590.0	0.0	590.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი ფიზიკური პირებიდან	795.9	730.4	0.0	730.4	500.0	0.0	500.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი იურიდიული პირებიდან	106.5	164.3	0.0	164.3	90.0	0.0	90.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	156.3	93.9	0.0	93.9	65.0	0.0	65.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი ფიზიკური პირებიდან	6.2	4.1	0.0	4.1	5.0	0.0	5.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი იურიდიული პირებიდან	150.1	89.8	0.0	89.8	60.0	0.0	60.0
სხვა გადასახადები	1.0	1.4	0.0	1.4	0.0	0.0	0.0

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 3,994,8 ათ. ლარის ოდენობით:



დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა
გრანტები	1,997.1	3,118.7	3,994.8
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	0.0	12.4	68.4
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	1,997.1	3,106.3	3,926.4
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	305.0	305.0	305.0
გათანაბრებითი ტრანსფერი	0.0	0.0	0.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	305.0	305.0	305.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	1,692.1	2,801.3	3,621.4
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	425.2	1,542.1	2,442.5
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	1,266.9	1,259.2	1,178.9
სხვა სპეციალური ტრანსფერი	0.0	0.0	0.0

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 14,095,0 ათ. ლარის ოდენობით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	8,695.7	14,944.0	14,095.0
შემოსავლები საკუთრებიდან	8,034.6	14,375.5	13,725.0
პროცენტები	66.5	183.1	150.0
დივიდენდები	0.0	0.4	0.0
რენტა	7,968.1	14,192.0	13,575.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	7,968.1	14,192.0	13,575.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	56.6	67.2	60.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	48.9	54.6	50.0
სანებართვო მოსაკრებლები	40.1	15.0	40.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.6	0.4	0.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	8.2	10.5	10.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	7.7	12.6	10.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	7.7	12.6	10.0



ჯარიმები, სანქციები და საურავები	594.5	470.3	300.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	10.0	31.0	10.0

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 15,930,6 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	11,431.9	13,552.9	355.1	13,197.8	15,930.6	315.0	15,615.6
შრომის ანაზღაურება	2,078.5	2,115.4	116.4	1,999.0	2,919.0	132.0	2,787.0
საქონელი და მომსახურება	2,600.4	2,272.3	27.9	2,244.4	2,055.8	10.0	2,045.8
პროცენტი	200.0	173.1	0.0	173.1	142.7	0.0	142.7
სუბსიდიები	4,966.3	6,989.8	169.9	6,819.9	7,665.1	170.0	7,495.1
გრანტები	0.0	370.0	0.0	370.0	1,075.0	0.0	1,075.0
სოციალური უზრუნველყოფა	1,504.1	1,147.5	4.4	1,143.1	1,414.7	3.0	1,411.7
სხვა ხარჯები	82.5	484.9	36.5	448.3	658.3	0.0	658.3

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 6,558.1 ათ. ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 6,593.1 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	31.8	198.2	172.6
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0.0	23.1	0.0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	791.8	3,718.8	4,974.3



04 00	განათლება	442.5	972.9	1,229.7
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	0.4	258.1	216.5
	სულ ჯამი	1,266.5	5,171.2	6,593.1

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 35,0 ათ. ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	3.8	185.7	35.0
ძირითადი აქტივები	-1.2	41.5	25.0
არაწარმოებული აქტივები	5.0	144.2	10.0
მიწა	5.0	144.2	10.0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,634.1	3,349.4	4,304.3
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,428.7	3,176.4	4,161.6
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,428.7	3,176.4	3,984.3
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	177.3
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	200.0	173.1	142.7
7017	საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეს შორის	5.4	0.0	0.0
702	თავდაცვა	0.0	0.0	0.0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	517.9	567.9	186.0
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	158.6	182.8	186.0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	359.3	385.1	0.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	1,327.4	2,267.3	3,536.4
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	1.3	195.5	360.0
70421	სოფლის მეურნეობა	1.3	195.5	360.0



7045	ტრანსპორტი	1,326.1	2,071.7	3,176.4
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1,326.1	2,071.7	3,176.4
705	გარემოს დაცვა	683.7	960.8	2,373.2
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	632.6	646.2	843.1
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	51.1	314.6	1,530.1
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	627.2	1,943.0	1,288.8
7061	ბინათმშენებლობა	82.5	534.6	150.0
7063	წყალმომარაგება	33.1	178.5	101.2
7064	გარე განათება	507.6	647.1	723.5
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	3.9	582.8	314.1
707	ჯანმრთელობის დაცვა	187.7	185.2	194.4
7072	ამბულატორიული მომსახურება	10.2	3.4	0.0
70722	სპეციალიზებული ამბულატორიული მომსახურება	10.2	3.4	0.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	177.5	181.8	194.4
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	3,703.3	5,154.6	5,344.0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	2,482.2	3,146.0	3,110.0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1,038.2	1,444.1	1,536.0
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	54.9	122.2	138.0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	128.0	442.4	560.0
709	განათლება	1,696.8	2,502.7	2,974.7
7091	სკოლამდელი აღზრდა	1,696.8	2,502.7	2,974.7
710	სოციალური დაცვა	1,249.9	1,669.1	2,187.9
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	73.0	102.6	115.0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	73.0	102.6	115.0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	286.2	290.9	362.2
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	183.0	350.2	304.7
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	0.0	0.0	15.0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	54.7	26.5	45.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	653.0	899.0	1,346.0
	სულ	12,628.0	18,599.9	22,389.7



ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს -1,558.9 ათ. ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -272,2 ათ. ლარის ოდენობით (საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ბოლნისის მუნიციპალიტეტში შესრულებული პროექტების ვალდებულებების დაფარვა).

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

საგანგებო ან/და გაუთვალისწინებელი ხარჯების, აგრეთვე სხვა ადგილობრივი მნიშვნელობის ღონისძიებების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 200,00 ათ. ლარის ოდენობით.

1. მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 22702 ლარი შემდეგი ღონისძიებებისათვის და ფონდი დაზუსტდა 177298 ლარით, მათ შორის:

ა) ნინო კაპანაძეს, მცხოვრებს ქ. ბოლნისში, სულხან-საბა ორბელიანის ქ. N104-ში, ბიუჯეტიდან გამოიყო (გამგებლის 2016 წლის 2 თებერვლის N226 ბრძანება) 10000 ლარი.

ბ) ანი ხაჭიპერაძეს, მცხოვრებს ქ. ბოლნისში, დავით აღმაშენებლის ქ. N56-ში, ბიუჯეტიდან გამოიყო (გამგებლის 2016 წლის 26 თებერვლის N539 ბრძანება) 7280 ლარი.

გ) ზურაბ რეხვიაშვილს, მცხოვრებს ქ. ბოლნისში, იყალთოელის ქ. N9-ში, ბიუჯეტიდან გამოიყო (გამგებლის 2016 წლის 26 თებერვლის N539 ბრძანება) 5422 ლარი.

მუხლი 13. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 305,0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 170,00 ათასი ლარის ოდენობით;

ა.ა) ააიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაავადებათა აღრიცხვის კონტროლის, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და პრევენციული მედიცინის ცენტრის მიერ 2015 წელს განსახორციელებელი სავალდებულო ღონისძიებები ადგილობრივი დელეგირებული უფლებამოსილებისათვის 116.0 ათასი ლარის ოდენობით;

ა.ბ) შპს დეზე-ეფექტის მიერ განსახორციელებელი ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით გასატარებელი სადერატიზაცო, სადეზინსექციო და სადეზინფექციო სამუშაოების უფლებამოსილებისათვის 54.0 ათასი ლარის ოდენობით.

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 132,00 ათასი ლარის ოდენობით;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 3,0



ათასი ლარისა ოდენობით;

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები

1. კაპიტალური სამუშაოების განსახორციელებლად საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის N175 განკარგულებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილმა ტრანსფერმა შეადგინა 2,442,481 ლარი და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

- ა) ქ. ბოლნისში N3 საბავშვო ბაგა-ბაღის სამუშაოებისათვის 345,000 ლარი;
- ბ) ქ. ბოლნისში N5 საბავშვო ბაგა-ბაღის სამუშაოებისათვის 368,000 ლარი;
- გ) ს. რატევის საბავშვო ბაგა-ბაღის სამუშაოებისათვის 361,000 ლარი;
- დ) ქ. ბოლნისში ათონის ქუჩის მოასფალტების სამუშაოებისათვის 680,000 ლარი;
- ე) ქ. ბოლნისში მერაბ კოსტავას ქუჩაზე ქვაფენილის მოწყობისათვის 373,481 ლარი;
- ვ) ქ. ბოლნისში წმინდა ნინოს ქუჩის მოასფალტების სამუშაოებისათვის 315,000 ლარი.

2. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში (2016 წლის 19 თებერვლის N265 განკარგულება) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილმა ტრანსფერმა შეადგინა 1,178,940 ლარი.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 16. გამოყოფილი გრანტები

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამის (აღმოსავლეთ პარტნიორობის ტერიტორიული თანამშრომლობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, სომხურ-ქართული პროგრამა) ფარგლებში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტიდან (GIZ) მყარი ნარჩენების მართვის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით გამოიყო გრანტი 68,4 ათასი ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით 8,7 ათასი ლარი.

თავი II

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები



მუხლი 17. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

ხანძრისა და სტიქიური უბედურების შემთხვევების დროს მოსახლეობისა და მათი ქონების დასაცავად ადგილზე დროული მისვლა და კვალიფიციური დახმარების აღმოჩენა; საგანგებო სიტუაციების სალიკვიდაციო სამუშაოების განხორციელება. შეიარაღებული ძალების თავდაცვის უნარიანობის ამაღლების მიზნით ხორციელდება მოსწავლეთა პირველადი აღწერა, წვევანდელთა გაწვევის პუნქტებამდი ტრანსპორტირება და სამედიცინო შემოწმება, ასევე სარეზერვო ძალების მობილიზება.

ა) საგანგებო სიტუაციების მართვა

ხანძრისა და სტიქიური უბედურების შემთხვევების დროს მოსახლეობისა და მათი ქონების დასაცავად ადგილზე დროული მისვლა და კვალიფიციური დახმარების აღმოჩენა; საგანგებო სიტუაციების სალიკვიდაციო სამუშაოების განხორციელება;

ბ) ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა

შეიარაღებული ძალების თავდაცვის უნარიანობის ამაღლების მიზნით ხორციელდება მოსწავლეთა პირველადი აღწერა, წვევანდელთა გაწვევის პუნქტებამდი ტრანსპორტირება და სამედიცინო შემოწმება, ასევე სარეზერვო ძალების მობილიზება.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, 2016 წლის განმავლობაში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, გარე განათების მშენებლობა-ექსპლოატაცია, საკანალიზაციო და ჩამდინარე წყლების სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია, გარემოს დაცვის ღონისძიებები, მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია, სასაფლაოების მოვლა, შადრევნების, სპორტული მოედნების და დასვენების პარკის მშენებლობა-რეაბილიტაცია.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გზების რეაბილიტაცია, ქ. ბოლნისში ქუჩების რეაბილიტაცია, ზამთრის სეზონზე მუნიციპალიტეტის გზების და ქუჩების თოვლის საფარისაგან გაწმენდა.

ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელის მშენებლობა-ექსპლოატაცია, ქ. ბოლნისში საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია, გარემოს დაცვის ღონისძიებები: საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება-გატანა, ქვეწარმავლების და მაწანწალა ცხოველების დასახლებული პუნქტებიდან გადაყვანა, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია, სასაფლაოების მოვლა.

ბ.ა) გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

ღამის პერიოდში მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის, ისტორიული ძეგლებისა და ტაძრების ფასადების, სკვერებისა და ბულვარების განათებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გარე განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება, ცენტრალურ გზაზე გარე განათების მშენებლობა, ბოლნისის მუნიციპალიტეტის გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია და გახარჯული ელექტროენერჯის ხარჯები.

ბ.ბ) ჩამდინარე წყლების მართვა



ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება ქ. ბოლნისში სანიაღვრე სისტემის ნაწილის მშენებლობა-რეაბილიტაცია. ქ. ბოლნისში საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა.

ბ.გ) გარემოს დაცვითი ღონისძიებები

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად, ქვეპროგრამის ფარგლებში გავალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა. მუნიციპალიტეტში მაწანწალა ცხოველების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება. მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსდება დასახლებულ პუნქტებში ქვეწარმავლების დაჭერა - უსაფრთხო ადგილზე გაყვანის მომსახურება.

ბ.დ) სარიტუალო მომსახურებისა და სასაფლაოების მოვლა-შენახვა

ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს სარიტუალო და სხვადასხვა ღონისძიებებზე მომსახურება, აგრეთვე სასაფლაოების მშენებლობა/რეაბილიტაციის სამუშაოები.

ბ.ე) კორპუსების მოვლა-პატრონობა

ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კორპუსების აღრიცხვა, სახურავების, სადარბაზოებისა და მშენებლობა/რეაბილიტაციის სამუშაოები.

გ) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების, შადრევნების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები.

გ.ა) შადრევნების, დასვენების პარკის და სკვერების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მოვლა-პატრონობა

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შპს „კულტურისა და დასვენების პარკი“ რომელიც განახორციელებს არსებული პარკის მოვლა-პატრონობას, არსებული შადრევნების ექსპლოატაცია. განხორციელდება ცენტრალური პარკის განათების და ფასადის რეაბილიტაცია.

3. განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. მუნიციპალიტეტი ხელს უწყობს ასევე უნარშეზღუდული ბავშვების სწავლას და მათ ინტეგრირებას საზოგადოებაში.

ა) სკოლამდელი განათლება

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ააიპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულება“. ბოლნისის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 12 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს საშუალოდ 1300 ბავშვი. სკოლამდელი დაწესებულების დაფინანსება ხორციელდება სრულად ადგილობრივი ბიუჯეტიდან. მუნიციპალიტეტი ხელს უწყობს ბაღების მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას, კვებას და დასაქმებულთა სტაბილურ შრომის ანაზღაურებას.

ბ) უნარშეზღუდული ბავშვების სწავლის დაფინანსება



ქვეპროგრამა ითვალისწინებს ააიპ – ბოლნისის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო, სარეაბილიტაციო ცენტრი „განთიადის“ დაფინანსებას, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები უნარშეზღუდულ ბავშვების საზოგადოებასთან ინტეგრირებას და მათ საგანმანათლებლო სარეაბილიტაციო ცენტრში სწავლას.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, თვითმმართველობა განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაციას. ასევე გაგრძელდება ბოლნისის ეპარქიის ფინანსური მხარდაჭერა ეკლესიების, მონასტრების რესტავრაცია და შემდგომი აღორძინებისათვის.

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება, სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაციას.

ა.ა) სპორტული სკოლები.

ქვეპროგრამა მოიცავს ააიპ „სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება – ბოლნისის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის“ დაფინანსებას, სადაც ფუნქციონირებს სპორტის სხვადასხვა სახეობების წრეები და უზრუნველყოფს ამ სახეობების განვითარებას, მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმას და მათთვის საწვრთნელი პირობების შექმნას.

ა.ბ) საჭადრაკო სკოლის დაფინანსება

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება საჭადრაკო სკოლა „ნონა“, რაც ხელს შეუწყობს ამ სპორტის განვითარებას და პოპულარიზაციას მუნიციპალიტეტში.

ა.გ) საფეხბურთო კლუბი „სიონის“ დაფინანსება.

ქვეპროგრამა მოიცავს საფეხბურთო კლუბი „სიონის“ უმაღლეს ლიგაში მონაწილეობის ხელშეწყობას.

ა.დ) სარაგბო კლუბი რაგბის დაფინანსება

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „რაგბის კლუბი ბოლნისის“ უმაღლეს ლიგაში მონაწილეობის ხელშეწყობა.

ა.ე) სასპორტო სკოლა ძიუდოს დაფინანსება

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „ძიუდოს სკოლა რაც ხელს შეუწყობს ამ სპორტის განვითარებას და პოპულარიზაციას.

ა.ვ) სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული მოედნების მოვლა, შენახვა და სპორტული მოედნების რეაბილიტაცია.



ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა

კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის, სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

ბ.ა) საკლუბო, საბიბლიოთეკო, სამუზეუმო გაერთიანება.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ააიპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკლუბო, საბიბლიოთეკო, სამუზეუმო გაერთიანება „კულტურის ცენტრის“ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებების დაფინანსებას, როგორებიცაა: ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა, ლიტერატურული და თოჯინური თეატრების აღორძინება, ხალხური რეწვის დარგების აღორძინება და პოპულარიზაცია, ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობის ხელშეწყობა, სამუსიკო და ქორეოგრაფიული ნიმუშების შესწავლისა და პოპულარიზაციისათვის სათანადო პირობების შექმნა. სამუზეუმო ნიმუშების პოპულარიზაციას, გამოფენას და მოვლა-შენახვას. ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მუშაობის ხელშეწყობას, წიგნადი ფონდების შევსება დაკომპლექტებას და სრულ აღრიცხვას.

ბ.ბ) მუსიკალური სკოლა

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „ზაურ ხუჯაძის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა“ სადაც სწავლობს 135 -მდე მოსწავლე, რაც ხელს შეუწყობს მოზარდ თაობაში ხელოვნების განვითარებას.

ბ.გ) თეატრის დაფინანსება

ააიპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის თეატრი“ მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დაფინანსებას, როგორებიცაა: მხატვრული აღზრდის პროპაგანდა, ეროვნული თეატრალური ხელოვნების განვითარება, სასცენო ხელოვნების განმტკიცება, ტრადიციების აღორძინება და განვითარება, ზოგადსაკაცობრიო იდეალების პროპაგანდა, საზოგადოებისა და ახალგაზრდობის ზნეობრივი და სულიერი სამყაროს გამდიდრება.

გ) რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბოლნისის ეპარქიის ფინანსური მხარდაჭერა, ახალი ტაძრების მშენებლობა, ისტორიული ეკლესია-მონასტრების აღდგენა და მათი შემდგომი აღორძინება.

დ) ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა

პროგრამა ითვალისწინებს შპს „გაზეთი ბოლნისის“ დაფინანსებას ფუნქციონირებისათვის, რომელიც ახორციელებს, ახალი ამბების და კულტურული და სპორტული ღონისძიებების გაშუქებას.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ ქალაქის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

ა) ჯანდაცვის პროგრამები

პროგრამა ითვალისწინებს „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას.



ა.ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ააიპ „დაავადებათა აღრიცხვის, კონტროლის, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და პრევენციული მედიცინის ცენტრის“ დაფინანსებას, რომლის მიერ განხორციელდება: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეპიკეთილსაიმედო სიტუაციის შექმნა და შენარჩუნება; ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება; მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა; სადერატიზაციო, სადეზინსექციო და სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება, ორგანიზაციებში, სკვერებში, ნაგვის შემკრებ ბუნკერებში; მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სამღრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობის გზით ეპიდკეთილსაიმედო სიტუაციის შექმნა.

ბ) სოციალური პროგრამები

